


საქართველო

საერთო უკრაინული გაზეთი ხუთშაბათი 20 ნოემბერი 2003 №221 (1992) ღირსი 50 თეთრი



REUTERS ამტყუნებოდა



კონკონდ კონკონდი

ნისტურლი და ადვოკატურა
შოტლანდიელს მამასი გულუბი დაუხეთქს

დაუნ!

ლატვიამ თურქები
მბრტვის სახელთ აზია-რა



REUTERS სტამბოლში


ლატვიელთა ბაირამი სტამბოლში

ინანებო!

მსაჯის ცემა კალიან გაძვირდა

12 ნოემბერს ბოლნისის „სიონმა“ მინ გორის „დილას“ 4:3 მოუგო. შეხვედრას მსაჯობდა ახლა მესხი, ვისაც „დილას“ ფეხბურთელები ორიჯერ გაეჯიბნენ საცემრად. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში არბიტრები არაერთხელ გაუღახავთ, თუმცა სადი-

ცსიპლინო კომიტეტი უმეტეს შემთხვევაში ძალიან ლმობიერი იყო მსაჯების გამლახავთა მიმართ. მაგრამ გუშინ დისციპლინარები სხვაგვარად მოიქცნენ – „დილას“ ფეხბურთელები კოდექსის შესაბამისად, ანუ მკაცრად დასაჯეს



ალექსანდრე კაიდარაშვილი

სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი სხდომის მთავარი გასარჩევი ამბავი „სიონ“ — „დილას“ მატჩი იყო. „დილას“ პრეზიდენტი გელა ჩხეიძე და მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხორგუაშვილი წარმოადგენდნენ, „სიონს“ — ტექნიკური დირექტორი პეტრე დანელია. იქვე იყო კახა მესხი და გვერდითი მსაჯი გორა ცირდავა, კიდევ ურნალისტები.


კომიტეტის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა ამ მატჩის არბიტრის, ინსპექტორის (შოთა ხინგაშვილი) და დირექტორის (ოთარ კორდალიძე) მოხსენებით ბარათები წაიკითხა. სამივე პატაკი ტყუპებით ჰგავდა ერთმანეთს და იმას დაუდებდა, რომ როცა 1:3-ზე მესხმა „დილას“ კარში 11-მეტრიანი დანიშნა, ლევან გორაშვილმა მას დაარტყა, ალექსანდრე კაიდარაშვილმა მკერდი ჰკრა და წააქცია, მერაბ ძიძუაშვილმა პანდური ამოარტყა, ალექსანდრე ლაბაძემაც სთხოიშა, ხოლო ნამატჩევს მსაჯი პოლიციამ დაიცვა მისკენ გაწეული გორელი ფეხბურთელებისგან. ისიც ითქვა, რომ „დილას“ დამრიგებელი ხორგუაშვილი რაც შეეძლო, თავის ფეხბურთელებს აშოშინებდა. არც ის დაიმალა, რომ გასახდელში მიმავალ მსაჯებს კაიდარაშვილმა ბოთლი ესროლა, მაგრამ ააცილა.

მორიგი მატჩი „დილას“ მინ ჰქონდა „მცხეთასთან“ და 5:1 მოიგო. შეხვედრის დირექტორი ავთანდილ გრეკოვი კი პატაკობს, რომ თამაშის წინ მსაჯების გასახდელში გორის გამგებლის მოადგილე გელა გოგიაშვილი შევიდა და დაემუქრა მათ, თუ „დილა“ წააგებს, აქედან ცოცხლები ვერ გააღწევთ. „სიონის“ წარმომადგენელმა პეტრე დანელიამ გორელებს სიტყვა შეაშველა, „დილა“ კარგი გუნდია და მისი მწვრთნელ-ხელმძღვანელობაც ყველაფერს აკეთებდა ინციდენტის ჩასაცხრობადო.

ამის შემდეგ „დილას“ მთავარი მწვრთნელის ჯერი დადგა. „ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა, რაშიც ალბათ,



ალექსანდრე ლაბაძეს მსაჯთან სირბილში გაჯიბრება ძალიან ძვირი დაუჯდა



მერაბ ძიძუაშვილი



ალექსანდრე ლაბაძეს მსაჯთან სირბილში გაჯიბრება ძალიან ძვირი დაუჯდა

პირველ რიგში, მე ვარ დამნაშავე. მაგრამ ისიცაა, რომ მთლიანად ქვეყანაში დაძაბული სიტუაციაა და ასეა გორშიც. ბოლო თვესავე გორის განმავლობაში გორში სამმა კაცმა თავი ჩამოიხრჩო. რაც ბოლნისში მოხდა, იმას გამართლება არა აქვს. მაგრამ ჩემპიონატი გადაწყვეტ ფაზაში შედის და თუ 5-6 ფეხბურთელი გამოგაკლდება, ჩემპიონატში ჩვენს მონაწილეობას აზრი დაეკარგება. თუ ჩვენს ფეხბურთელებს სასჯელს შეუშუსუბუქებთ, პირობას ვაძლევთ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება“ — თქვა ხორგუაშვილმა.

გოგიაშვილის რეაქცია ასეთი გახლდათ: „მე თანახმა ვიქნებოდი, „დილა“ ჩემპიონატიდან რომ მოი-


ხსნას, სანამ ვიდაცას არ მოკლავენ. ქვები „დილა“ — „თბილისის“ მატჩში, შემდეგ ბოლნისი, ახლა კიდევ გამგებლის მოადგილის მუქარა — ყველაფერი ეს ბოლო ათ დღეში მოხდა და ვისღა სჭირდება ასეთი ფეხბურთი?“

კომიტეტის თავმჯდომარის რიტორიკის შემდეგ „დილას“ პრეზიდენტი გელა ჩხეიძე ალაპარაკდა: „მართლაც ძალიან ცუდი ამბავი მოხდა, მაგრამ ყველაფერი მესხის მიერ დანიშნული 11-მეტრიანით არ დაწყებულა. მეორე გოლი „სიონმა“ თამაშგარეშად გააკვიტა, ფეხბურთელებს მსაჯისთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ პენალტის დროს ყველაფერმა ერთად ამოხეთქა. ისიცაა, რომ ნამატჩევს მოედანზე მაყურებელი

გადმოვიდა და ერთ-ერთი ჩვენი ფეხბურთელი მინდორზე დააგდეს. თუ სიმართლეს ვლამარაკობთ, ესეც უნდა ითქვას.“

შეხვედრის დირექტორმა ოთარ კორდალიძემ აღნიშნა, მოედანზე გადასული გულშემამტკივარი მე არ დამინახავს, რაც შეეხება „სიონის“ მეორე გოლს, ჩემი აზრით, იქ თამაშგარე იყო, თუმცა ამის მტკიცება ძნელია. ამაზე ლაინსმენმა გორა ცირდავამ მიუგო, არაფერი საეჭვო იქ არ ყოფილა, ნაღდი გოლი იყო.

დისციპლინარებმა ისიც იკითხეს, ეს ფაქტი თვითონ „დილაში“ თუ გაარჩია და რა რეაგირება მოახდინაო. ხორგუაშვილმა უპასუხა, რომ უწესო ფეხბურთელები მკაცრად დაჯარიმდნენ, ხოლო ორი მათგანი,



ლევან გორაშვილი

ლაბაძე და ძიძუაშვილი გუნდიდან გაირიცხებიან.

კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა გოგი დემეტრაძემ საკუთარი პოლიტიკური მრწამსი საჯაროდ გამოვეცხადა და დასძინა, სტალინის ქალაქის გუნდი რომ ჩემპიონატიდან მოიხსნას, არ მინდა, მე სტალინისტი ვარო.

მოკლედ, დისციპლინარებმა ყველაფერი გაარჩიეს და ვერდიქტზე დაიწყეს ლაპარაკი. ცხადი გახდა, რომ ჩვეულად ტოლერანტულ განაჩენს აღარ გამოიჩინდნენ. რას დაწერენ მერე გაზეთები? ასეთი კითხვაც დაისვა სჯა-ბასისას. სიტუაციიდან გამომდინარე, სიტყვა კვლავ ითხოვა ხორგუაშვილმა და თქვა, რომ ყველაფერი „სიონთან“ თამაშით არ დაწყებულა, რომ არა მსაჯები, „დილა“ ახლა პირველ ან მეორე ადგილზე იქნებოდა; ჩვენ უდისციპლინო გუნდი არ ვართ, თუ გუნდებს წითელ-ყვითელ ბარათებს დავუთვლით, მეათე ადგილზე ვართო. პრეზიდენტმა ჩხეიძემ დისციპლინარებს „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ მატჩი შეახსენა, სადაც არბიტრი მერაბ მალაღურაძე დინამოელებმა წააქციეს და მერე მუჯლუგუნაც მიაყოლეს. ამაზე ჩხეიძეს განუმარტეს, რომ დინამოელები თავად მალაღურაძემ დაიცვა, პატაკში არაფერი ისეთი არ დაუწერიაო.

და დადგა ვერდიქტის ჟამი: ლევან გორაშვილს, ალექსანდრე კაიდარაშვილს და მერაბ ძიძუაშვილს — დისკვალიფიკაცია 10 თამაშით და 1000-1000 ლარი ჯარიმა, ხოლო ალექსანდრე ლაბაძეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია. დაისჯა კლუბიც — „დილა“ 1000 ლარს მის სტადიონზე მომხდარი ექსცესების გამო ჩამოეჭაფა.

გაირჩა სხვა წერილი საქმეებიც. ქვასროლიობისთვის „მცხეთა“ და „მერცხალი“ 500-500 ლარით გაამდიდრებენ პროფლიგა-ფედერაციას, ხოლო „ცხინვალის“ ფეხბურთელი პაატა ფეხუაშვილი მსაჯის გინებისთვის 100 ლარს გადაიხდის და ორ თამაშს გამოტოვებს.

დავით თავართქილაძე

ვილას უაპირს, მებრამ მაინც: სალა ვართ?! საქართველო ჩემპიონატისთვის

ფიფა-კოპა კოლას ახალი რეიტინგი მეტნაკლებად სახეცვლილი გამოდგა. ათეულში ყველაზე დიდი ნახტომი მექსიკამ გააკეთა — მერვედან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

გაცილებით საინტერესოა ის ამბავი, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველად მოხდა 50 საუკეთესო ნაკრებს შორის შოტლანდია. ევრო 2004-ის შესარჩევში პლეი ოფის პირველ მატჩში ჰოლანდიასთან 1:0 მოგებამ სქოთები რვა საფეხურით ალაზევა. თუმცა პლეი ოფის თავესი გმირი უკვე ჰყავს — ლატვიის ნაკრებმა თურქეთის ძლევით ცამეტი ნაბიჯი წაღა და ახლა 56-ე ადგილზეა.

ფიფას რეიტინგში ყველაზე დიდი ცვლილებები აზიელლებმა მოახდინეს. აზიის თასის საკვალიფიკაციო

მატჩებმა იორდანია (12 ადგილით), ომანი (18), ბაჰრეინი (22), უზბეკეთი (30), საამირები (21), თურქმენეთი (26) და ტაჯიკეთი (21) დააწინაურა.

უზბეკებმა სულაც ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთეს მსოფლიოში, ხოლო ყველაზე უიღბლო ბარბალოსი გამოდგა, რომელიც 107-დან 120-ე ადგილამდე დაქვეითდა.

ერაყი, ქუვეითი, იორდანია, ბაჰრეინი, ბურკინა ფასო, ჰაიტი... ფეხბურთის ამ ქვეყნებშიც თამაშობენ და, რეიტინგის მიხედვით, ჩვენზე კარგადაც. საქართველომ წინა თვის შედეგები ხუთი საფეხურით გააუარესა და ახლა 92-ზეა.

წლის ბოლო რეიტინგი 15 დეკემბერს გამოქვეყნდება.

ბაბა ზალაგზარიძე

FIFA

WORLD RANKING

1	ბრაზილია	852	12	12	აშშ	732
2	საფრანგეთი	826	13	14	დანია	714
3	ესპანეთი	785	14	13	კამერუნი	712
4	არგენტინა	750	15	15	ირლანდია	706
5	მექსიკა	742	16	16	ბელგია	696
6	ჰოლანდია	740	17	18	შვედეთი	681
7	თურქეთი	739	18	17	პორტუგალია	680
8	ინგლისი	738	19	19	კოსტა რიკა	679
9	გერმანია	736	20	20	ხორვატია	662
10	ჩეხეთი	735				
11	იტალია	733				
			92	87	საქართველო	475

I - გრანდ-აღვიწილი II - ადგილი წინა თვეში III - ქვეყანა IV - ქელა

ლეონ კობიაშვილი: კეპლი მეგობრებმა ნაგუსიანი იტალიაში თუ ალუბი თაბაგოზ, ნაჩრებში რატომ არ თაბაგოზ?


მომავალ სეზონში გელზენკირხენის „შალკე“ საგრძობლად გაძლიერდება. რუდი ასაუერი რომან აბრამოვიჩის მსოფლიო დონის ვარსკვლავების შექმნაში ალბათ ვერ გაეჯობრება, მაგრამ „შალკეს“ პრეზიდენტი ნამდვილად არ ხუმრობს და გულშემატკივრებს ბევრ სასიამოვნო სიახლეს ჰპირდება. „შალკემ“ ბრემენის „ვერდერის“ ორ ფეხბურთელთან, კრსტიანთან და აილტონთან წინასწარი კონტრაქტები უკვე გააფორმა, ისინი იანერის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე გელზენკირხენელებს შეუერთდებიან. გადანყვებილია ისიც, რომ იუპ ჰაინკესი, ამჟამინდელი არასახარბიელო შე-

დეგების მიუხედავად, გუნდში დარჩება და რუდი ასაუერი გეგმაში მთავარ როლს შეასრულებს.

მომავალ ზაფხულში „შალკეს“ პრეზიდენტი კიდევ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელს შეიძენს და ევროპასა თუ ბუნდესლიგაში თავისი რიხიანი სიტყვის თქმას აპირებს.

ჩვენებური ლეონ კობიაშვილი კი, ამ „შალკეს“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი რომ არის, არა გვეგონია, „იმ“ „შალკეს“ მიღმა დარჩეს.

გელზენკირხენული კლუბის გეგმებზე ლეონისგან გუშინ შევიტყვეთ, თან გერმანიიდან დანახული ქართული ამბებიც ვიკითხეთ...



ჩვეულებრივ ვვარჯიშობთ, არაფერი განსაკუთრებული, სანაკრებოდ სხვა კლუბებიდან თუ არიან გამოძახებულნი, არც „შალკეა“ გამოწვევის, ნახევარი გუნდით, არ ითქმის, თუმცა ამ დღეებში ჩვენც მოგვაკლდა რამდენიმე ფეხბურთელი. დანარჩენები ბუნდესლიგისთვის მზადებას ძველებურად განვაგრძობთ.

საქართველოს ამბები, ცხადია, მანდაც აინტერესებთ. კლუბში რას გეუბნებიან?

ყოველ დღე ერთი მესმის — რა ხდება საქართველოში, რა შეიცვალა? ვერაფერს ვეუბნები, ანკი რა ვთქვა? გერმანული ტელეარხები თბილისურ მიტინგებს აჩვენებენ და, რა თქმა უნდა, გელზენკირხენში ყველამ იცის ქართული ამბები. ოღონდ ვერ გაუგიათ, საქართველოში ყოველთვის არეულობა რატომ არის.

როგორი ინფორმაცია მოდის?

ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ უსიამოვნო ინფორმაციაა.

ახლა „შალკეზე“ გვითხარი. ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზა გუნდზე ალბათ სასიკეთოდ იმოქმედებს...

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი გუნდი სხვებზე მეტად მოღონიერდა, როგორც ჩვენ დავისვენეთ, ისე დაისვენა ყველა გუნდმა.

კი, მაგრამ, „შალკეს“ ყველა გუნდთან ვერ გავაიგივებთ...

სეზონი ჩვენ მართლაც ამბიციურად დავიწყეთ, მაგრამ, ჩანს, რომ არ გვყავს ჩემპიონობისთვის მეტრძოლი გუნდი. „ბაიერნისა“ და უეფას თასზე „ბრონდბიუს“ ძღვევის შემდეგ სპეციალისტებმა ჩათვალეს, „შალკე“ თავისი ძალის ჩვენებას ახლა იწყებსო, თუმცა ორი დღის შემდეგ „ლევერკუზენთან“ დავმარცხდით.

მოკლედ, გუნდი ჯერ ვერ აეწყო...

ხელმძღვანელობა ნელ-ნელა ცდილობს გუნდის გაძლიერებას...

ეგ როგორ, მალე პირველი წრე დამთავრდება...

„შალკემ“ კრსტიანი და აილტონი „ვერდერიდან“ ახლახან იყიდა, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გადმობირებას საახალწლოდ აპირებს კლუბის ხელმძღვანელობა, შტუტგარტელ კურანისა და ჰინკელს ეპატივებიან. მოკლედ, მომავალი სეზონისთვის „შალკე“ სერიოზულად გაძლიერებას აპირებს.

ესე იგი, ეს სეზონი მოსამზადებლად ჩავთვალოთ?

არა, რატომ? ჩვენ წლეულს უეფას თასის საგზური უნდა მოვიპოვოთ, ჩემპიონთა ლიგის ადგილზე კი ოცნებაც არ ღირს. ახლა ისე ვერ ვთამაშობთ, როგორც „შალკეს“ ქომაგი მიეჩნევა, თუმცა ეს არ ნიშ-

ნავს, რომ მაღალი ადგილებისთვის არ ვიბრძობოთ.

რაკი „შალკე“ სამიზნული გუნდს აკეთებს, არც მწვერთნელ ჰაინკესის გათავისუფლება უნდა იყოს მოსალოდნელი...

იყო მითქმა-მოთქმა, ჰაინკესს ათავისუფლებენო, თუმცა ამ ხმებს რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ჰაინკესს, სულ რომ ხუთი მატჩი ზედიზედ წააგოს, არავინ შეეხება. „შალკემ“ ახალი მწვერთნელი მოიწვია, გუნდის ასაწყობად კი სამი-ოთხი თვე არ კმარა. ჰაინკესი გამოცდილი სპეციალისტია, მან თავისი იდეები ფეხბურთელებამდე უნდა მიიტანოს, რასაც დრო სჭირდება. მომავალი სეზონისთვის სამეულისთვის ვიბრძობებით და საამისო ძალა ნაღდად გვექნება.

თავად როგორ ფორმაში ხარ?

არ დამჩივლება, ვვარჯიშობ და ფორმას ვინარჩუნებ, თან ვისვენებ... ცოტა არ იყოს, გადატვირთული სათამაშო გრაფიკი გვექონდა.

ბოლო მატჩებისას მწვერთნელმა ხშირად გიცვალა პოზიცია. მოედნის შუაშიც ითამაშე, მარცხენა ჰაერზეც, მცველად...

მწვერთნელს სადაც სჭირდება, მეც იქ მათამაშებს-ხოლმე. ბოლო დროს ხშირად ვიცვლიდი პოზიციებს, მაგრამ ახლა ტრავმირებულები გამოჯანმრთელდნენ და ჰაინკესი, ალბათ, ისევ მარცხნიდან მათამაშებს.

საქართველოს ნაკრები ვინ უნდა ათამაშოს? ეროვნული გუნდის მწვერთნელი როგორი უნდა იყოს?

პირველ ყოვლისა, დისციპლინის მოყვარული. დისციპლინისა, რაც საქართველოს ნაკრებში ყოველთვის მეორეხარისხოვანი იყო, არადა, ესაა მთავარი. მენტალიტეტზე როცა საუბრობენ, მწვერთნელი ჩვენ უნდა შეგვეწყვიტოსო, ამას ვერ გავიზიარებ, ის ერთი იქნება, ჩვენ — 22. ჩვენ უნდა მოვერგოთ მის ხასიათს, მის კანონებს.

ამბობ, რომ ნაკრების მომავალი მწვერთნელი ურიერთობაში ზომიერი, მაგრამ მკაცრი უნდა იყოს...

ზომიერებასაც გააჩნია და სიმკაცრეც. ჩვენ, ლეგიონერებს, კლუბებში ყველას მკაცრი მწვერთნელი გვყავს, მაგრამ მათრახს არავინ გვირტყამს. ვერ გამოვია, ფეხბურთელს კლუბთან სხვა და ეროვნულ გუნდთან სხვა დამოკიდებულება რატომ აქვს. თუ კლუბში თამაშობ, ნაკრებში რატომ არ თამაშობ?...
კობა ინასარიძე

იური სიომინმა ახალი ასათიანი მოიგონა

მალხაზ ასათიანისა და მიხეილ აშვეთიას „ლოკომოტივი“ სამიოდ დღეა, სოჭში სანვრთნელ შეკრებაზეა. იური სიომინმა შევირდები მოსკოვურ ყინვას აარიდა და მზიან ზღვისპირა ქალაქში წაიყვანა. მაგრამ რკინიგზელები შეკრებაზე სრული შემადგენლობით არ წასულან — მათ რუსეთის ნაკრებში მინვეული ფეხბურთელები დააკლდათ



მალხაზ ასათიანს თამაში ეღირსა

სოჭში გამგზავრებამდე კი „ლოკომოტივი“ ამხანაგურად გაეჯიბრა თანაქალაქელ „სპარტაკს“. მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა, თუმცა ჩვენთვის საინტერესო სხვა ამბებია: „სპარტაკის“ კარში 90 წუთი ითამაშა გიორგი ლომაიაძე, ზოლო „ლოკომოტივის“ დაცვაში... მალხაზ ასათიანმა. დიას, იური სიომინმა დიდი ხნის ჩანაფიქრი აისრულა და ქართველ ნახევარმცველს ახალი და უცნაური ამპლუა მოუძებნა — ასათიანი ცენტრალური მცველი იყო. ჩვენებურის თქმით, მისთვის სათამაშო პოზიციას დიდი მნიშვნელობა არც აქვს, მთავარია, თამაში ეღირსა.

რკინიგზელთა მეორე ქართველი მიხეილ აშვეთია კი ამ მატჩში არ გამოჩენილა. როგორც იცით, აშვეთიამ ტრავმა ახლახან მოიშუშა და მწვერთნელები მის დატვირთვას მოერიდნენ. ახლა ყველაფერი კარგადაა — მიხო სრულად გამოჯანმრთელდა და უკვე ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივი“ მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩში კიევის „დინამოს“ უმასპინძლებს. უკრაინაში დინამოელებმა 2:0 დაამარცხეს სიომინის ბიჭები.

ბასა ზალაგაბერიძე

დინამო და ნაკრები დაკვიპროსდნენ

საქართველოს ჩემპიონის, თბილისის „დინამოს“ სპორტული დირექტორი გივი ნოდია კვიპროსს გაემგზავრა. ის ქალაქ ლარნაკაში დინამოელებისთვის სასტუმროსა და სავარჯიშო მოედნებს შეარჩევს და მასპინძლებთან დაგვემილთავან ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში „დინამოს“ მონაწილეობის საკითხსაც შეათანხმებს.

აქ ნიშანდობლივია ერთი რამ: „დინამომ“ ზამთრის მოსამზადებელი ეტაპისთვის თადარიგი ახლაც დაიჭირა, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე ახლაც ზრუ-

ნავს და არა მამინ, როცა იქ ჩავა, ისე, როგორც ბევრი სხვა ქართული კლუბი აკეთებს.

ჩემპიონებმა კვიპროსზე მზადება იმ პერიოდს დაამთხვიეს, როცა საქართველოს ნაკრებიც იქ იქნება ტრადიციულ ტურნირში სათამაშოდ. ასე რომ, ნაკრების ახალ თავკაცს სასურველი მოთამაშეების შესაყრებად „დინამოდან“ პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, სხვა ქართული კლუბებიდან კი მწვერთნელს ფეხბურთელთა გამოძახება საიდან მოუწევს, ჯერ უცნობია.

კობა ინასარიძე

ყურადღება!
შპ აპერის საფეხბურთო სკოლა დაიფყო
1990-1996 წლებში დაგადებული
ბავშვების მიღება
ჩვენ მიხამართია: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულის გადასახვევთან),
ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

და მე ავტირდი...

რუბენი რეალმა ცრემლთან მარტო არ დატოვა

მადრიდის „რეალის“ „სევილიასთან“ სამარცხვინო განადგურებას (1:4) საფეხბურთო სამყარო ენაჩავარდნილი შესცქეროდა. ესპანური პრიმერას მე-11 ტურმა „ვარსკვლავური გუნდის“ მცველთა სისუსტე დაადასტურა. განსაკუთრებით ბევრი ითქვა ახალგაზრდა უკანახაზელის, რუბენის უნიათო ბურთაობაზე. გააკვებულმა მადრიდელმა მედიამ კას-

ტილიური გრანდის წაგება ლამის მას დააბრალა და უახლოეს მომავალში „რეალიდან“ გამგზავრებაც უწინასწარმეტყველა. თუმცა თავად რუბენი არსად წასვლას არ აპირებს, იმ ავბედითი მატჩის დაგინყებას ცდილობს და დამრიგებელ კეირუშთანაც კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს. ეს ინტერვიუ ესპანურ „მარკაში“ გამოქვეყნდა.

— როგორ გრძობთ თავს განვლილი ორომტრიადის შემდეგ?
— არცთუ ისე ცუდად. გრიპის გამო იძულებული ვიყავი, ცოტა ხნით შემესვენა, მაგრამ ახლა უკვე მზად ვარ, სრული დატვირთვით კვირავიშო.
— ანუ, ჩავთვალთ, რომ „სევილიასთან“ მომხდარი ამბავი დავიწყებას მივცა?
— სევილიური ტრაგედია ჩემთვის მხოლოდ ძველი, კომპარული სიზმარია და მეტი არაფერი. დღეს მარტო მომავალ თამაშებზე ვფიქრობ, ერთი დასანანი მარცხის

გამოკარირაზე ხელის ჩაქნევა არ შეიძლება.
— თქვენი აზრით, რამდენად იქონიებს ის თამაში გავლენას რუბენის, როგორც ფეხბურთელის სამომავლო წინსვლაზე?
— დამლუპველად ნამდვილად არ იმოქმედებს. ასეთი რამ ხომ გამოცდილ ვარსკვლავებსაც მოსდით ხოლმე. უბრალოდ, გაათკეცებული მონდომებით გავაგრძელებ მუშაობას, რათა შემდგომში აღრინდელი შეცდომები აღარ გავიმეორო.
— კეირუშმა პირველი ტაიმის 26-ე წუთზე შეგცვალათ. ალბათ,

მატჩის ვიდეოჩანაწერში სათადარიგოთა სკამზე თქვენს ცრემლიან სახესაც ნახავდით...
— ტელევიზიით მთელი მატჩი ვნახე და ხსენებული ეპიზოდიც, რა თქმა უნდა. მე რე ზოგიერთმა სპორტულმა გაზეთმა ბინძური ჭორები დამიყარა, თითქოს შეცვლისას კეირუშს ვეჩხუბე, თანაგუნდელებთანაც კამათი მქონდა და ცრემლებიც სწორედ ამ კონფლიქტის ბრალი იყო. არ ვუარყოფ, მართლაც ვიტყვი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ „რეალის“ ასე უილაჯოდ განადგურებამ გამაცოფა.




— შეხვედრის დასასრულს მწვრთნელს თუ ესაუბრეთ?
— რამდენიმე წუთი ვილაპარაკეთ. კარლუს კეირუშთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, ისევე როგორც თანაგუნდელებთან. ჩვენს თავსაც არც არაფერში ვადანაშაულებ, 26-ე წუთზე გუნდი 0:3-ს აგებდა და მწვრთნელი ვალდებული იყო, სიტუაციის გამოსწორების მი-

ზნით რაიმე ცვლილება განეხორციელებინა.
— „რეალის“ ფეხბურთელებმა როგორ შეაფასეს თანაგუნდელის იმდღევანდელი ბურთაობა?
— ფეხბურთელები, მწვრთნელები, ტექნიკური პერსონალი, ნებისმიერი ადამიანი, ვინც სამეფო გუნდთან რაიმეთია დაკავშირებული, მიხვდა, რომ ჩემი თამაშითა და სევილიურ ტაბლოზე უჩვეულო ანგარიშით საშინლად ვიყავი ანერვიულებული. ყველა ჩემს გამხნევებას ცდილობდა, მეუბნებოდნენ, რომ ეს ამბავი გულთან ზედმეტად არ მიმეტანა. თავად ფერნანდო იერომ დამირეკა ფატარიდან, რისთვისაც მისი დიდად მაღლობელი ვარ. მადრიდის „რეალი“ ერთიანი, დიდი ოჯახია, რომლის სიმტკიცესაც ვერაფერი შეარყევს.
— და ვერც ის ხმები, რუბენის მადრიდიდან წასვლას რომ იუწყებინან?
— უკვე ვთქვი, რომ უსინდისო ჭორების მსხვერპლი ვაგხდი. რა წასვლაზე მეუბნებით? კეირუში მენდობა, ინჩასები ჩემს მხარეს არიან და მე ხომ ფიქრადაც არ გამივლია „რეალის“ მიტოვება. რუბენის სხვაგან გადაბარება მტკნარი სიცრუეა, მადრიდიდან ფეხის მოცვლას არ ვაპირებ.

პატრიკის მეგობარი პიერი ჰოიდონამა ხლუივარბი დაუბთან დავაბიყა

პატრიკ კლუივერტისა და „ბარსელონას“ ბოსების ურთიერთობა კალაპოტიდან რომ ამოვარდა, ცნობილია. ჯერ კიდევ გასულ გაზაფხულზე მას ჯამაგირის შემცირებაზე ევაჭრებოდნენ, მაგრამ დაჰოლანდიელი აჯანყდა, გუნდიდან წავალა.
ზაფხულში კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა გახდა, რომელმაც მწვრთნელად ფრანკ რაიკარდი დანიშნა. ჰოლანდიელი ფორვარდის საქმე მაინც არ გამოსწორდა და ამასობაში მისი გადაბირების მსურველები გამოჩნდნენ.
კატალონიელებს ინგლისური კლუბები დაუკავშირდნენ, მათ შორის ყველაზე მეტად სერ ბობი რობსონის „ნიუკასლი“ აქტიურობდა. ფეხბურთელის აგენტმა ორიოდ კვირის წინ განაცხადა, იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე ჩემი კლიენტის მომავალზე კონკრეტულს ვერაფერს ვეტყვი.
ახლა „ნიუკასლის“ გარდა სტა-

მბოლური „ფენერბაჰჩე“ გამოტყვრა. „ფენერი“ ზაფხულში კრისტოფ დაუმმა ჩაიბარა და „ფეიენოორდიდან“ პიერ ვან ჰოიდონკი წაიყვანა. როტერდამელთა ყოფილი მეგობლე კლუივერტთან მეგობრობს, სწორედ ის შეუჩნდა დამრიგებელს, მე და პატრიკს წყვილად რომ გვეთამაშა, კარგი იქნებოდაო. ასეთ შემტევე ღუეტზე ბევრი გუნდი ოცნებობდა და ცხადია, დაუმიც უარზე არ უნდა იყოს. ვან ჰოიდონკმა კლუივერტს დაურეკა და ფენერბაჰჩელმა მეგობრის პასუხი მწვრთნელს მოახსენა, რომელიც ასე უღერს: „თურქეთის ერთ-ერთ სახელოვან კლუბში პიერთან ერთად თამაშის პერსპექტივა მზიბლავს. კლუბები თუ მორიგდებიან, სტამბოლში გადასვლაზე ყაბულს ვარ“.
თავის მხრივ, კრისტოფ დაუმმა ამის შესახებ პრეზიდენტ აზიზ ილდირიმს აცნობა. ილდირიმი „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტის სამომავლო არჩევნებისთვის ემზადება და კლუ-




ივერტს თუ გადაბირებს, არჩევნებში გამარჯვებას, ფაქტობრივად, გაინადღებს.
მეორე სტამბოლური გუნდი „გალათასარაი“, კი ირანელ სომეხს, ვაჰიდ ჰაშემიანს ეკურკურება. „ჰა-



მბურგის“ ფორვარდი „ბოზუმში“ გაანათხოვრეს და ამ სეზონში საგოლე იშტაზე მოვიდა. მან უკვე რვა გოლის გატანა მოასწრა და ფაითიკ თერიმის ყურადღება დაიმსახურა, „გალას“ აგენტები ჰაშე-

მიანის პირველ კლუბს ირანშიც დაუკავშირდნენ და „ჰამპურთან“ მოლაპარაკებაც დაიწყეს. თავად მეგოლეს უთქვამს, თურქეთში სიამოვნებით ვითამაშებდიო.
რომან თურაძე



ტრეზემეს პლატინური სიფარული დავიდმა გოლიათი გამოიფვია

„იშპენტუსის“ ფრანგ ფორვარდ დავიდ ტრეზემეს მისი უფრო მეტად სახელოვანი თანამემამულის, მიშელ პლატინის შედეგის გაუმჯობესება გადაუწყვეტია, რისთვისაც მას კიდევ 37 გოლის გატანა სჭირდება. პლატინიმ „იუვენტუსის“ მაისურით 104-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი, ხოლო ტრეზემეს ანგარიშზე ჯერჯერობით მხოლოდ 67 გოლია.
დავიდ ტრეზემე: „პლატინის გადასწრება ჩემი ოცნებაა. „იუვეში“ გატარებული სამნახევარი სეზო-

ნის მანძილზე 67 გოლის გატანა შევძელი. პლატინის ანგარიშზე კი 104 გოლია. ვფიქრობ, ტურინში კიდევ იმდენ ხანს დავრჩები, რომ ამ შედეგის გაუმჯობესება შევძლო. ახლანდელი კონტრაქტით, „იუვენტუსში“ კიდევ წელიწადნახევარი უნდა გავატარო, თუმცა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ლაპარაკი უკვე დაწყებული გვაქვს.“
ტრეზემე „იუროს ბურთის“ წლევიანდელ 50 ნომინანტს შორის არის დასახელებული და მიუხედავად იმისა, რომ რეალურ პრეტენდენტად

არ ითვლება, ჟურნალისტებმა მას მაინც სთხოვეს ამის თაობაზე კომენტარი. აქვე შევნიშნოთ, რომ „იუვენტუსში“ თამაშისას მიშელ პლატინიმ ზედიზედ სამჯერ შეძლო ამ ჯილდოს მოგება.
„50 ნომინანტს შორის მოხვედრა უკვე უდიდესი პატივია. „იუროს ბურთის“ მოგება მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ ყველა ფეხბურთელის მთავარი ოცნებაა. ისე ვერ გამოვიდა, რატომ არა აქვს დღემდე ეს ჯილდო რაულს“ — განაცხადა ტრეზემემ.
გიორგი ბაბაბაძე

ან მილანი ან არაფერი ანელოტივის ფეხბურთი შავ-ნითელია

მიუხედავად იმისა, რომ „მილანის“ თავაკაც კარლო ანელოტივის ვეტერან მწვრთნელობამდე ბევრი უკლია, იგი „შავ-ნითელთან“ განმარტების შემდეგ ფეხბურთიდან წასვლაზე ალაპარაკდა.

აქ უპირიანი გავიხსენოთ, რომ ანელოტივის მწვრთნელის რანგში მხოლოდ სამი ტიტული — ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და იტალიის თასი აქვს მოგებული, თანაც ეს სამივე ჯილდო, როგორც გახსოვთ, მან მხოლოდ წლეულს „მილანთან“ ერთად მოიპოვა.

მართალია, ზემოთ ხსენებული ჯილდოებიდან ერთ-ერთი მაინც (მიხედვით რომელიც) უამრავ მწვრთნელს გადაქცევა აუხდენელი ცნებად, მაგრამ ანელოტივის დონის სპეციალისტისთვის სამი ტიტული ბევრი არ უნდა იყოს.

თუმცა ანელოტი სხვაგვარად ფიქრობს. როგორც ჩანს, მას ფეხბურთელობისას მოპოვებულ ტიტულებთან ერთად მწვრთნელობისას მიღწეული სამი წარმატებაც აკმაყოფილებს და სურს, დარჩენილი ცხოვრება მშვიდად გაატაროს.

„მილანის“ მწვრთნელობაზე უკეთესი სამსახური მსოფლიოში არ მეგულება და ვერ წარმომიდგენია, შემდგომში ამაზე უკეთესი რა უნდა შემომთავაზონ. ვფიქრობ, ჩაგარდნის საშიშროებას ვიგონებოთ თუ არა, ფეხბურთიდან წავალ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თავი მწვრთნელად ნამდვილად ვერ წარმომიდგენია, ვთქვათ, ჯოვანი ტრაპატონის ასაკში. შესაძლოა, წასვლა „მილანთან“ განმარტებისთანავე გადაწყვიტო“

— განაცხადა ანელოტიმ.

ფეხბურთელობისას ანელოტი „მილანს“ და „რომაში“ თამაშობდა. ამიტომ უურნალისტებმა მას რომაულ კლუბში კაპელოს შეცვლის ვარიანტზე გადაუკრეს სიტყვა, რისი შესაძლებლობაც ანელოტიმ არ გამოიჩინა, თუმცა ეს უფრო ზრდილობის გამო ნათქვამს ჰგავდა.

კარლო ანელოტი: „რომა“ დიდი კლუბია, თუმცა ამ ეტაპზე ჩემი დედაქალაქში დაბრუნების არავითარი შანსი არ არსებობს. ისე, თუ ოდესმე მათ სამუშაო შემომთავაზეს და მეც დაეთანხმდი, ეს გულის კარნახით გადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგანაც ძალიან კარგად მახსოვს იქ გატარებული წლები.“



კარლო ანელოტი

გიორგი კაბაბაძე

პარმის სავანა მოჯიმ ქალბატონისთვის ბიჭები უნარჩია



დანიელე ბონერა



ალბერტო ფილადორინო

თქმით, ამ ორი ფეხბურთელის გადაბირებას ტურინელები 2004-05 წლების სეზონისთვის აპირებენ.

მართალია, ალბერტო ფილადორინო „პარმას“ მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უზის, მაგრამ იგი საკმაოდ ახალგაზრდაა და გოლების გატანას მაინც ახერხებს. ხოლო „სკუადრა აბურას“ ახალგაზრდულ გუნდში იგი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.


დანიელე ბონერა კი აქვინის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერ მცველად არის აღიარებული იგი უკვე იტალიის ეროვნული გუნდისთვისაც საჭირო მოთამაშეა.

ამბობენ, რომ „იუვენტუსი“ მზად არის, ბონერასა და ფილადორინოს სანაცვლოდ „ანო ტარდინოზე“ თავისი ორი მოთამაშე — მარსელო ზალაიეტა და მაურო კამორანეზი გაუშვას, რომლებიც თურმე „პარმას“ თავაკაც ჩეზარე პრანდელის ძალიან მოსწონს.

თუმცა საქმე მთლად ასე მარტივად არ ყოფილა, რადგან, როგორც ამბობენ, „პარმას“ ხელმძღვანელობას ფინანსური სარგებლის ნახვა უნდა. ამიტომაც თავისი ახალგაზრდა ფეხბურთელების ბარტერულ გაცვლას ეგებ არც დათანხმდეს.

გიორგი კაბაბაძე

ზედგებთ სორსი ბიუოპის კუნთმა მედიცინაც ბააკვირვა



მიჩელე ბიუნიო

კლუბიდან კლუბში გადასვლისას ექიმები ახალ ფეხბურთელს გულდაგულ ამოწმებენ. 2002 წლის მაისში დანიური „კოპენჰაგენიდან“ „მანჩესტერ სიტიმ“ მიქაელ ბიუნიო შეიძინა. დანიელმა ფეხბურთელმა უკვე სეზონისთვის ვარი გაატარა გუნდში და ხანდახან ტერფის ტკივილს უწიოდა. დასტაქრებმა შარშან მაისში ვერაფერი აღმოაჩინეს, ახლა კი, როცა ბიუნიო ძალიან შეწუხდა, უცნაური რამ გაირკვა — დანიელ ფეხბურთელს ტერფზე ზედმეტი კუნთი აქვს. მანჩესტერელმა ექიმებმა თქვეს, ამ საქმეში დაეხმარდით და მსგავსი არაფერი გვიჩვენახსო.

„სასწაულია, მაგრამ მას აქვს ისეთი კუნთი, რომელიც სხვა ადამიანებს არ გააჩნიათ — გაოგნებული იყო კვინ კოჯანი — ახლა მიქაელის ოპერაციას გაუკეთებენ, ხორცმეტს ამოაჭრიან და დაახლოებით სამ კვირაში შეწყობრში ჩადგება.“

მამა სუციფილი


რომან აბრამოვიჩმა „ჩელსის“ ყიდვისთანავე თავისი საოცნებო გუნდის კარში ჯანლუიჯი ბუფონის ჩაყენება მოიხურვა. ზაფხულს სატრანსფერო სეზონში ჩუკოტკელმა მილიარდერმა ყველა რგოლში მეტ-ნაკლებად შეძლო ოცნების რეალობად ქცევა, მეკარედ კი ისევ ძველი, საკმაოდ მაღალი კლასის, მაგრამ არასტაბილური, ასევე იტალიელი კარლო კუდიჩინი დარჩა.

ლონდონური კლუბის წარმომადგენლები დღემდე უშედეგოდ ცდილობენ ბუფონთან მოლაპარაკებას და „იუვენტუსის“ სასურველი თანხით დახარბებას.

ახლა კი, როგორც ჩანს, აბრამოვიჩსა და კომპანიას საბოლოოდ მოუწევს ბუფონის დაიწყება. ამ უკანასკნელის აგენტმა, სილვანო მარტინამ კატეგორიულად განაცხადა, არც ჩემს კლიენტს სურს „დელე ალპის“ დატოვება და არც „ბებერ ქალბატონს“ უნდა მისი გაშვება.

სილვანო მარტინა: „იუვენტუსის“

ჯიუტი ჯიჯი აბრამოვიჩი ბუფონს ვერ შესწვდა



ჯანლუიჯი ბუფონი

ბუფონის გაყიდვაზე საუბარიც კი არ სურს. იგივე განწყობა აქვს ჯიჯისაც. ამიტომ შეუძლებელია, აბრამოვიჩის ოცნება აუხდეს.

აგენტის ამ განცხადების მერე კიდევ უფრო რეალური ხდება ორი წლის წინ „პარმაში“ ბუფონის ნაცვლად მისული სებასტიან ფრეის ტრანსფერი, რომლისთვისაც „არისტოკრატებს“ 8 მილიონი ევრო აქვთ გადადებული, თუმცა შესაძლოა, ფულის დამატება მოუხდეთ.

გიორგი კაბაბაძე



RUGBY WORLD CUP

მასაჩუსეტსის 20 ნოემბერი

უზინოს მატჩი დასრულდა დასრულებული მატჩი მათემატიკის დანას ლანსავე

ახლამ ზელანდიამ რაც დაეარგა, ველარ ნახავს. მათემატიკის დანას ლანსავე მათემატიკის დანას ლანსავე



დამარცხებული ფაბიენ გალტიეს ლანსავე


ახალი ზელანდიისთვის ჩემპიონობის გარდა სუბსიდიური შედეგი არა დატოვებულია და რიგგარეშად ჩატარებული სეზონის მოხდენად... „მათემატიკის“ თავ ვინ მიტყელს სკამი საფეხვლიანად მოყრა. მაგრამ ახალგაზრდა და ახიჯიურ სეციალიტს არ სურს თანამდებობის დაკარგვა და ველარ ღონეს იხმარს დღეს საფრანგეთის დასამარცხებლად.

შეცვალა, ისიც იძულებით — დამარცხებული ნახევარმცველის ჯასტინ მარშლის ადვლს სტივ დივიანი დაიჭერს, ხოლო სათადარიგო ბურჯის ქის მიუსის ნაცვლად სკამზე კარლ ჰოფტი დაჯდება.

არაა განაცხადში ფრანგთა დავა-ღმოსილი კაპიტანი ფაბიენ გალტიე (9 ნომერი). 35 წლის გალტიესთვის ინგლისთან ომი ბოლო სა-ნაკრებო იყო და პუბლიკამ თბილად გააცილა 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე.

კრიკეტი

უზინოს მატჩი დასრულდა დასრულებული მატჩი მათემატიკის დანას ლანსავე



მარტინა ნავრატილოვა

ამ ეტაპის გამართვა არა ბელგიაში, არამედ სწორედ რუსეთში არჩია. რაც შეეხებოდა სერენასა და ვინუსს, ისინი, ისევე როგორც ლინდსი დევენპორტი, ტრავმებს იმუშებენ, ვინი კაპრიატი კი ნაკრებიდან კაპიტნის, ბილი ჯინკინგის მიერაა მოკვეთილი.

სკვითთა სატახტო ამ დღეებში ქალთა ფედოსის დამაგვირგვინებელ ეტაპს მასპინძლობს. გუნდები და დღეს იქ ნახევარფინალებია და რუსები ფრანგებს ხედებიან, ხოლო თასის ყველაზე მეტჯერ, 17-ჯერ მომგები ამერიკელები ბელგელებს.

უკანასკნელად მან ფედოსზე 1995 წელს ითამაშა და — ბარემ აქვე გეტყვით — ტურნირის ორმოცწლიან ისტორიაში მისდარად ასაკოვან ქალს ვერ ჩოვანი არ გაუქნევია.

ახალი ზელანდია

საფრანგეთი

მალილი მულიინა	15	კლემენ პუანტრენო
დაგ ჰაულები	14	პეპიტო ელორგა
ლენო მაკდონალდი	13	ტონი მარში
აარონ მეიჯერი	12	დამიენ ტრაი
ჯო როკოკოკო	11	დევიდ ბორი
კარლოს სპენსერი	10	ფერალ მერსერონი
სტივ დივიანი	9	დომიტირი იაშვილი
ჯერი კოლინზი	8	კრისტიან ლაბიტი
რიჩი მაქლოუ	7	სებასტიან შაბალი
რუბენ სორნი (კაპ)	6	პატრიკ ტაბაკო
ალი უილიამსი	5	ტიბალტ პრივატი
კრის ჯეკი	4	დავიდ ორადუ
გრეგ სომერვილი	3	ჟან-ბატისტ პუ
კეინ მეალამუ	2	იანიკ ბრუ (კაპ)
დევიდ ჰიუიტი	1	სილვიან მარკონე

სათადარიგოები

მარკ ჰემიტი	16	რაფელ იბანესი
კარლ ჰოფტი	17	ჟან-ჟაკ კრენკა
ბრედ სორნი	18	ფაბიენ პელუ
მარტი ჰოლა	19	ოლივიე მანი
ბაირონ კელეპერი	20	ფრედერიკ მიშალაკი
დანიელ კარტიერი	21	ბრაიან ლიბენბერგი
ქალბ რალფი	22	ნიკოლას ბრუსკე

მარტი: კრის ვიტი (ინგლისი)


კოტა თამაშად ნათქვამი კია და — საფრანგეთის ნაკრებში იაშვილის ეპოქა დგება. ახალზელანდიასთან ფრანგებს სა-თადარიგოებში უზით ამ ტურნირის პირველი მექულე ფრედერიკ მიშალაკი და თუ ლაპორტმა ეს ვეელი ბოლომდე სკამზე დატოვა, დიდი შანსია, მიშალაკმა ვერ მოი-ვოს ბომბარდირთა დაეა ინგლისელ

ჯონი უილკინსონს აქტივში 98 ქუ-ლა აქვს, მხოლოდ ხუთი ქულთ ჩამორჩება ფრანგ კონკურენტს და ფინალში ორი გოლის (საჯარიმო ან არეკნი) გატანის შემდეგაც სა-ბოლოოდ გადაუსწრებს. სამართლიანობა იმის აღნიშვნას მოითხოვს, რომ ნახევარფინალში უილკინსონმა აშკარად დაჯაბნა მი-შალაკი — 24:2.

კრიკეტი


კრიკეტი

უზინოს მატჩი დასრულდა დასრულებული მატჩი მათემატიკის დანას ლანსავე



მარტინა ნავრატილოვა

ამ ეტაპის გამართვა არა ბელგიაში, არამედ სწორედ რუსეთში არჩია. რაც შეეხებოდა სერენასა და ვინუსს, ისინი, ისევე როგორც ლინდსი დევენპორტი, ტრავმებს იმუშებენ, ვინი კაპრიატი კი ნაკრებიდან კაპიტნის, ბილი ჯინკინგის მიერაა მოკვეთილი.



ლუის დრო გაკაფა ვიტალი კლიჩკო გამლახაზე იფივეს

მსოფლიოს კრისის საბჭო (WBC) მიმეწონოსან ჩემპიონ ლენოქს ლუისს ქამრის ჩამორთმევით დაემუქრა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ბრიტანელი გადაწყვეტილებას დროზე არ შეცვლის და ტიტულის დასაცავ ბრძოლაზე თანხმობას არ განაცხადებს. მეტოქის ვინაობას მი-სგან ერთხელ უკვე ძლეული უკრაინელი ვიტალი კლიჩკოსა და კანადე-ლი კირკ ჯონსონის 6 დეკემბერს დაგეგმილი შეხვედრა გაარკვევს.

ბექუნას ბექზისებნი

მანჩესტერში დევიდ ბექჰემის ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია მოეწყო და მის პატარა ქომბავს, ბეკი გრეგორის მის წიგნთან ერთად მისივე მამობრივი ამბორიც სწორედ იქ ერგო.



REUTERS ტორონტოდან

REUTERS მანჩესტეროდან



REUTERS მონტრეალოდან


დიადი პინგაბი

მსოფლიო ყვანჯღონობის „დიადი ვინძის“, უეინ გრეცკის ქომავთათვის გამოუციათ ორდისკიანი დივიდი ბლოგი, რაიც თურმე მისხალ-მისხალ აღნუსხავს ამ საარაყო სპორტსმენის 20-წლიან კარიერას. ეს გრეცკიზე ასაკოვანი კაცი კი ასევე ლეგენდარული ვიდეოლეგენდი ვახლავთ. 22 ნოემბერს ედმონტონის „კომონუელფ სტედიუმზე“ ენეიხელის ისტორიაში პირველი ჭერვარე მატჩი შედგება და ლეგენდის „მონრუალ კანადიენსი“ იქ სწორედ გრეცკის „ედმონტონ თილერსს“ უნდა ერეინოს.




იდაგვის ამოგდება

იდაგვი ამოგდია ვანკუვერში მიმდინარე საძაღონსო მსოფლიოს ჩემპიონატზე ირანელ ფათაპათი ნეჯადს. 77-კილოგრამიანთა წონით კატეგორიაში მოძაღონსეს 157,5-კილოგრამიანი სიმძიმე ვერ აუხიდავს და აი, ეგრე ვავლანხად დაამაგებულა.



REUTERS ვანკუვეროდან



REUTERS ლონდონოდან

ლორდენი და რეკორდსენი

ბრიტანელი ლორდი არჩერი (მარჯვნივ) ლონდონურ ტაუერ ბრიჯზე მარათონში მსოფლიოს კენიელ რეკორდისან პოლ ტერვატთან ერთად ითელემა. ლორდმა სულ ახლახან განაცხადა, ვაისად უცილოდ გამოვალ ლონდონურ მარათონზე და ტერვატთან მისი შეკორეშებაც ემაგ ამბის მერე მომხდარა.

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გაპოციეა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამაბათს,
ოთხაბათს, ხუთაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოხიძე
დირექტორი ბიორგი ოპრომპაძე
რედაქტორი თამაზ მიგრიალი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორევიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუაძე
ჭარტული ფეხბურთის რედაქტორი დავით თაყაიშვილი
რედაქტორი პაატა კვანციანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი გიორგი მელიქიძე, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანაია, გიორგი ვაშაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვლაუაძე, თორმალა კელიძე, ირაკლი პერტაია, პაპო სკვინიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გორგოზიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, სათუნა ბუხუნიშვილი, კლერე კულუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, რუსუდან დარსაგვილიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დევიდოშვილი, მაგდა დოგვაშვილი, დავით კვაჭანტარაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე მუხომბისის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საზვონსო მისამართი:
თბილისი — 79, საზვონსო ქუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული პოსტა: sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია: http://www.sarbieli.com.ge